-ნ მ. ქადეიშვილს
-ნ თ. ხუხუნაიშვილს

ასაცნობად და საქმეში გასაერთიანებლად

კ.ბექაური
16.11.2017

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის თავმჯდომარეს ბ-ნ კახი ბექაურს

შპს ნიუ კონტენტის
დირექტორის მირიან კიკნაძის
მის. თბილისი, ქეთევან წამებულის 84/86, ბ 26ა
მობ.595-535-488

განცხადება

წარმოგიდგენთ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 15 ნოემბრის განჩინებას, რომლითაც სს გლობალ კონტაქტ კონსალტინგს აეკრძალა მისი კუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის F36 და F54 ლიცენზიების განკარგვა და უფლებრივად დატვირთვა.

გთხოვთ უზრუნველყოთ ზემოთ მითითებული სასამართლოს განჩინების აღსრულება და არ მისცეთ სს გლობალ კონტაქტ კონსალტინგს უფლება / შესაძლებლობა ამ ლიცნზიების გასხვისებაზე.

დანართი:
1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 15 ნოემბრის განჩინება.

პატივისცემით,

მირიან კიკნაძე _____ 16 ნოემბერი 2017 წელი

NEW CONTENT LTD

76/8855.17
16 11 17
1+7

საქმე №2/31450-17

3739326968146

www.info.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით
სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების
ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ

15 ნოემბერი, 2017 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ლია ავალიშვილი

მოსარჩელე: შპს ,,ნიუ კონტენტი"

წარმომადგენელი: თეიმურაზ ხონელია

მოპასუხე: სს ,,გლობალ კონტაქტ კონსალტინგი"

დავის საგანი: თანხის დაკისრება

მოთხოვნა: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებ გამოყენების საკითხი,

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

შპს ,,ნიუ კონტენტი"-ს წარმომადგენელმა თეიმურაზ ხონელიამ 2017 წლის 14 ნოემბე სარჩელით და სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებით მომართა თბილის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე სს ,,გლობალ კონტაქტ კონსალტინგი"-ს მიმარ თანხის დაკისრების მოთხოვნით. მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის სახ მოითხოვა, ყადაღა დაედოს მოპასუხის კუთვნილ ქონებას, კერძოდ, საქართველ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 30 ნოემბრის #769/6 გადაწყვეტილებ საფუძველზე მოპასუხეზე გაცემულ (აღრიცხულ) რადიოსიხშირული სპექტრ სარგებლობის ლიცენზიას №F36-სა და №F54-ს, და იმ საოპერაციო აქტივებს: ანტენებ ანტენის თავაკებს, სპლიტერებს, კონექტორებს, კოაქსიალურ კაბელებს, რომელ მითითებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის ნოემბრის ოფიციალურ საჯარო განცხადებაში : სს „გლობალ კონტაქტ კონსალტინგ კუთვნილი საოპერაციო აქტივის სს "სილქნეტის" მიერ შეძენაზე წინასწარი თანხმობ გაცემასთან დაკავშირებით.

მოსარჩელის განმარტებით, 2016 წლის 01 მარტს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორ

დაიდო სატელევიზიო არხების რეტრანსლაციის / ტრანზიტის უფლების გადაცემი
შესახებ #01.03.2016_Contr_GLOBAL ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე
მოსარჩელემ მითითებული ხელშეკრულების მოქმედების ვადით გადასცა მოპასუხე
რიგი სამაუწყებლო არხების საკუთარ ქსელში გავრცელების უფლება, ამ უკანასკნელი
მხრიდან სანაცვლოდ ყოველთვიური საზღაურის - 11 500 აშშ დოლარის (დღგ-ს გარეშ
გადახდის პირობით. დღეის მდგომარეობით მოპასუხეს არ აქვს შესრულებულ
ვალდებულება 2017 წლის ივნისის, ივლისის, აგვისტოს, სექტემბრისა და ოქტომბრი
თვეებზე და ამ პერიოდებზე ერიცხება დავალიანება მთლიანობაში 166 904,21 ლარი.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას, მოსარჩელ
უკავშირებს იმ გარემოებას, რომ მოპასუხის მხრიდან სრულადაა იგნორირებულ
სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება. მიუხედავად მოსარჩელის მხრიდ
არაერთი დათმობისა და ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვად
დაწესებისა, მოპასუხე აშკარად, მათ შორის ცრუ დაპირების გაცემით გაურბ
მოსარჩელის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, რომელ
არაუზრუნველყოფილია და ამ მოცემულობით ქმნის რეალურ საშიშროებას, ქონებ
გასხვისებით გაექცეს მოსარჩელის დაკმაყოფილებას. აქტივების სრულად გასხვისებ
და შედეგობრივად პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების უტყუარ მტკიცებულებ
კი წარმოადგენს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მი
გავრცელებული ინფორმაცია აქტივების გასხვისებაზე წინასწარი თანხმობ
გაცემასთან დაკავშირებით, რომლის დაშვება რეალურად გამორიცხავს როგორ
მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებ
აღსრულების ყველანაირ შესაძლებლობას. ის ფაქტი, რომ შუამდგომლობაშ
მითითებული აქტივებიდან რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიებ
F54 და F36 არ არის მოპასუხის მიერ ამ ეტაპზე გასხვისებული დასტურდ
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უწყებრივი რეესტრიდან 20
წლის 14 ნოემბრის ამონაწერებით (გამოქვეყნებულს მისი ოფიციალურ ვებ-გვერდ
www.gncc.ge) და ამავე კომისიის 2016 წლის 30 ნოემბრის #769/6 გადაწყვეტილები
სადავო ვალდებულების შესრულება შემოფარგლულია მოპასუხის ქონებით
იმავდროულად კორპორატიული სტრუქტურა (ორგანიზაციულ-სამართლებრი
ფორმა) გამორიცხავს პასუხისმგებლობის ფარგლების გაფართოებას პარტნიორ
მოპასუხის მიერ ქონების განკარგვა, თუნდაც სხვა ვალდებულების დასაფარად მ
დათმობა სასამართლო წესით, პრაქტიკულად გამორიცხავს მოსარჩელ
დაკმაყოფილებასა და შესაბამისად სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება
რომლის არ დაშვებას ემსახურება წინამდებარე შუამდგომლობა სარჩელ
უზრუნველყოფაზე. მოსარჩელე უთითებს, საქართველოს სამოქალაქო საპროცეს
კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად გამოყენებულ იქნ
შუამდგომლობაში მითითებულ ქონებაზე ყადაღის დადება, რაც
წარმოადგენს მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთადერ
ქონებრივ რესურს (საშუალებას). სარჩელის უზრუნველყოფისათვის მოთხოვილ
ღონისძიება და სასარჩელო მოთხოვნა ერთმანეთს
დამაბალანსებელია, ატარებს გონივრულ ხასიათს და

ერთგვაროვან პრაქტიკას.

სასამართლო გაეცნო განცხადებას, შეამოწმა მისი დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. რომელიმე ზემოაღნიშნული გარემოების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. სასამართლოს მსჯელობა სარჩელის მატერიალურ და საპროცესო წინაპირობებზე გავლენას არ ახდენს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

ეს ნორმა ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის, როგორც მოსარჩელის დროებითი (შუალედური) დაცვის საპროცესო საშუალების, არსს, ფუნქციას და მისი გამოყენების პირობებს, კერძოდ: ამ ღონისძიების მიზანია - თავიდან იქნეს აცილებული ის გარემოებები, რომლებმაც შეიძლება დააბრკოლოს ან შეუძლებელი გახადოს საქმეზე მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელება, გამოუსწორებელი და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანის თავიდან აცილება, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნებ მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით; მისი გამოყენებისათვის აუცილებელია: ა) მოსარჩელემ მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომელთა გამო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა დააბრკოლებს ა გამორიცხავს გადაწყვეტილების აღსრულებას; ბ) მოსარჩელემ დაასაბუთოს, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მა აუცილებლად; გ) სასამართლოს გაუჩნდეს ვარაუდი, რომ სარჩელი შეიძლებ დაკმაყოფილდეს; დ) ასევე - გაუჩნდეს დასაბუთებული ვარაუდი, რო უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა დააბრკოლებს ან გამორიცხავ გადაწყვეტილების აღსრულებას.

სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფა, როგორც სამართლებრივ ინსტიტუტი, წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცულ ამა თუ იმ პირ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების საპროცესო სამართლებრივ გარანტიას, რომელსაც სასამართლო იყენებს დარღვეული, თუ სადავო ქცეული უფლების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე. აღნიშნული ღონისძიებ

გამოყენებისას სასამართლო მსჯელობს მხოლოდ სარჩელის უზრუნველყოფი ღონისძიების საფუძველზე. კერძოდ, სამომავლოდ მისაღები გადაწყვეტილები აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის საშიშროებაზე, ასევე ზიანი გამოწვევის საშიშროებაზე, რომელი კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვი ზიანის ანაზღაურების დაკისრებით, მოსარჩელის მიერ მითითებული იმ კონკრეტულ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც ადასტურებს ვარაუდს უზრუნველყოფი ღონისძიების გამოყენების აუცილებლობაზე.

სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებაში მოსარჩელემ უნდა მიეთითოს შესაბამი გარემოებებზე, რომელთა გარეშეც მას მიაჩნია, რომ გადაწყვეტილების აღსრულებ გაძნელდება ან შეუძლებელი გახდება, გამოიწვევს გამოუსწორებელ შედეგს ზიანთა მიმართებაში და, შესაბამისად, რაც სასამართლოს შეუქმნის დასაბუთებული ვარაუდი საფუძველს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე. აღნიშნული საკითხები დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსგავსი სახი უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვი გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელები შესაძლებლობას. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისა და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისა სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს - მხარის მიერ მითითებულ ინდივიდუალური კომპონენტის ფარგლებში, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიები გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნა გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის - გადაწყვეტილები აღსრულება. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფა კანონმდებლობით დაშვებულ (აუკრძალავი) იძულებითი ხასიათის იმ ღონისძიებათა ერთობლიობაა, რომელსა სასამართლო იყენებს მოსარჩელის შუამდგომლობით და რომელიც მიმართულია არ მოსარჩელისათვის სასურველი გადაწყვეტილების გამოტანისაკენ, არამედ, ასეთ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, მისი აღსრულებისკენ, გამოუსწორებელ ზიანის თავიდან არიდებისაკენ, სავალალო შედეგებისა და რისკები მინიმალიზირებისაკენ.

განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნორმატიული შინაარსიდ გამომდინარე, მოსარჩელე მიუთითებს გადაწყვეტილების აღსრულების გართულების ა აღუსრულებლობის საშიშროებაზე.

სასამართლო განმარტავს, რომ კანონი ითვალისწინებს უზრუნველყოფის ღონისძიები გამოყენების შესაძლებლობას გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებასთ დაკავშირებით მოსალოდნელი დაბრკოლებების თავიდან ასაცილებლად, თუმც მიიჩნევს, რომ ეს არის მხოლოდ ხსენებული ინსტიტუტის მიზანი (დანიშნულება) დ არა მისი გამოყენების წინაპირობა. კანონი ადგენს სარჩელის უზრუნველყოფი გამოყენების ზოგად საფუძველს, ხოლო სასამართლო განსაზღვრავს, არსებობს თუ არ ამგვარი საფუძველი განსახილველ საქმესთან დაკავშირებით და სარჩელი უზრუნველყოფის ღონისძიებას იყენებს იმ შემთხვევაში, თუ მის გამოყენება

მიზანშეწონილად ჩათვლის. ამიტომ, საპროცესო კანონმდებლობაში სარჩელი უზრუნველყოფის ინსტიტუტის გათვალისწინება გულისხმობს აღნიშნულ ინსტიტუტის გამოყენების დაწესებას ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც მ განმცხადებელი დასაბუთებულად წარმოადგენს. ანუ, განმცხადებელი შეძლებ დაამტკიცოს კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებ აუცილებლობა.

აღძრულია სარჩელი, რომლის საფუძველზეც მოსარჩელე ითხოვს მოპასუხისათვ 166904.21 ლარის დაკისრებას (მიკუთვნებითი/აღსრულებითი მოთხოვნა). სასამართლ განმარტავს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილებ განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის დადგომა დამოკიდებული იქნება არ მხოლოდ გადაწყვეტილების ძალაში შესვლაზე, ასევე მოპასუხის ნებაზე. ასეთი ნებ არარსებობის შემთხვევაში კი, გადაწყვეტილებით განსაზღვრული შედეგის დადგო დამოკიდებული ხდება ისეთ საშუალებაზე, როგორიცაა იძულებითი აღსრულება. თუკ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის არ იარსება მოსარჩელ დაკმაყოფილების საშუალებამ, მაგალითად, ქონების გასხვისების (იპოთეკ დატვირთვის) გამო, გადაწყვეტილება დარჩება აღუსრულებელი ან გართულდება მის აღსრულება. სასამართლომ, კი, უნდა უზრუნველყოს სამომავლო გადაწყვეტილებ აღსრულება.

გარემოება, რომელზედაც მოსარჩელე ამყარებს ვარაუდს, სარჩელის დაკმაყოფილებ შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობ თვალსაზრისით, არის მოპასუხის საკუთრებაში არსებული ქონების მოსალოდნელ გასხვისების საშიშროება. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებ შეიცავს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებ მიუღებლობა გააძნელებს ან/და შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებ და შესაბამის დასაბუთებას.

სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელემ შეძლო დაესაბუთებინა სარჩელ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა და საჭიროება. ამიტო აუცილებელია, დავის საბოლოო გადაწყვეტამდე დაბალანსებული იყოს უფლებრივ კონკურენცია და გამოყენებული იქნას უზრუნველყოფის ღონისძიება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის თანახმად, საკითხ იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნ გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. ამავ მუხლის მე-2 ნაწილის ,,ბ'' ქვეპუნქტის თანახმად სარჩელის უზრუნველყოფ ღონისძიება შეიძლება იყოს, მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულებ აკრძალვა.

"სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-40 მუხლის პირველ ნაწილის თანახმად, მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს მოვალის ქონებ აღწერას, მესაკუთრისათვის ქონების განკარგვის - ნებისმიერი ფორმით გასხვისებ დაგირავების, მასზე ქირავნობის და იჯარის ხელშეკრულებების დადების - აკრძალვ

გამოცხადებას ან/და ქონების შესანახად გადაცემას. ყადაღის გამოყენებით მოპასუხ ეკრძალება მის საკუთრებაში არსებული ქონების რაიმე ფორმით განკარგვ შესაბამისად, ყადაღის ობიექტი შესაძლებელია იყოს სამოქალაქო ბრუნვის ობიექტ რომელიც ექვემდებარება თავისუფალ რეჟიმში გასხვისებას. ”ლიცენზიებისა ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია წარმოდგენს სარგებლობ ლიცენზიების ერთ-ერთ სახეს. ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი ნაწილ მიხედვით, ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია რამდენიმე ნაწილად დაყ სარგებლობის ლიცენზია და სარგებლობის უფლება ან მისი ნაწილი იჯარით საკუთრებაში გადასცეს სხვა პირს, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტი გათვალისწინებული შემთხვევისა. ამდენად, ლიცენზიის სამართლებრივი შინაარს გათვალისწინებით იგი წარმოდგნეს უფლებას, რომელიც ექვემდებარება შეუზღუდ განკარგვას.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია მხარე თანასწორობის პრინციპზე. ამ პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა ორ ურთიერთდაპირისპირებული მხარის ინტერესების თანაბრად გათვალისწინება ამა თ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების დროს. სასამართლო ითვალისწინებს გარემოებასაც, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არ შეიძლება იქცეს მხარ დასჯის მექანიზმად და იგი ემსახურება კანონით ზუსტად გათვალისწინებუ შემთხვევებს. სარჩელის უზრუნველყოფის არსიდან გამომდინარე, სასამართლო არჩე უზრუნველყოფის ღონისძიებას სასარჩელო მოთხოვნის ხასიათიდან და მოცულობიდ გამომდინარე. უზრუნველყოფის ღონისძიებით შეზღუდული უფლება უნდა იყ სასარჩელო მოთხოვნის ადეკვატური. დაუშვებელია უზრუნველყოფის ღონისძიები მოპასუხის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა და ამ კუთხით მხარეთა არათანაბ პირობებში ჩაყენება.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დავის საგანი (სასარჩელო მოთხოვნ პროპორციული უნდა იყოს მოსარჩელის მიერ შერჩეული უზრუნველყოფ ღონისძიების სახისა, განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ უნ დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და მოპასუხეს უნდა აეკრძალოს ქონების გასხვისება უფლებრივად დატვირთვა.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **19** ე, **193-195-**ე, **197**-ე, **198**-ე მუხლებით, **199**-ე მუხლის მე-**3** ნაწილით, **284-286** მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. შპს ,,ნიუ კონტენტი“-ს წარმომადგენლის თეიმურაზ ხოშტარიას განცხადება სარჩელ უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. მოპასუხე სს ,,გლობალ კონტაქტ კონსალტინგი“-ს (ს/ნ 204952275) აეკრძალოს მ საკუთრებაში არსებული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 20

წლის 30 ნოემბრის #769/6 გადაწყვეტილების საფუძველზე მისთვის გაცემულ (აღრიცხულ) რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის №F36-სა დ №F54-ს და საოპერაციო აქტივების: ანტენების, ანტენის თავაკების, სპლიტერების კონექტორების, კოაქსიალური კაბელების - გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა.

3. განემარტოს მოსარჩელეს, რომ საქართველოს სსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილი თანახმად, თუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგ იმის გამო, რომ უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში მაშინ მოსარჩელე ვალდებული იქნება აუნაზღაუროს მოწინააღმდეგე მხარეს ზარალ რაც მას მიადგა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად.

4. განჩინებაზე შეიძლება საჩივრის შეტანა თბილისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მხარეთათვის ამ განჩინების გადაცემის მომენტიდან (ხუთი) დღის ვადაში და ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება.

მოსამართლე ლია ავალიშვილი